საქართველო GEORGIA

ინდივიდუალური აუდიტორი თამაზ ბუკია

INDIVIDUAL AUDITOR TAMAZ BUKIA

№021/02

15.03.2019 წელი

აუდიტორული დასკვნა

იჯარით გასაცემი ფართის საიჯარო ქირის გაანგარიშებითი ფასის განსაზღვრაზე

თანახმად 2019 წლის 14 მარტს სსიპ ქალაქ ბათუმის №15 საჯარო სკოლასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №03 ხელშეკრულებისა აუდიტორ თამაზ ბუკიას (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-807255, სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ გაცემული სერტიფიკატი#0129, მოქმედების ვადა 2020 წლის19 დეკემბრამდე) და უძრავი ქონების ექსპერტ შემფასებელი დავით რობაქიძის (საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტის მიერ 08.08.2016 წელს გაცემული უძრავი ქონების შემფასებლის სერტიფიკატი №064) მიერ ჩატარდა ქ. ბათუმში, გორგასლის ქ. N160-ში მდებარე სსიპ ქალაქ ბათუმის №15 საჯარო სკოლის შენობის მესამე სართულზე 128 კვ.მ. ფართის მქონე დერეფნის აუდიტორული შეფასება საიჯარო ქირის განსაზღვრის მიზნით.

ვიხელმძღვანელეთ: ”სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის # 328 ბრძანებულებით; შეფასების საერთაშორისო სტანდარტების მე–11 გამოცემის, შეფასების საერთაშორისო სახელმძღვანელო #2 „საიჯარო ინტერესის შეფასების“ მოთხოვნებით. შევისწავლეთ შესაფასებელი ობიექტის საიჯარო ინტერესის ღირებულების დადგენასთან დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული საკითხები. შესაფერისი საიჯარო პირობების, „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ (როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს შეგნებულად, წინდახედულად და ძალდაუტანებლად)

ქ.თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ.№1,ბინა 82 Tbilisi, Gldani, Vekua str.N:1, office 82 t.bukia1960@gmail.com

(+995) 577 54 17 58, (+995) 591 95 24 24

და სსიპ ქალაქ ბათუმის #15 საჯარო სკოლის მისამართზე არსებულ არეალში მსგავსი საიჯარო ფართების კვლევის შედეგების მიხედვით მოვახდინეთ საიჯარო ქირის გაანგარიშება და დავადგინეთ შემდეგი:

სსიპ ქალაქ ბათუმის #15 საჯარო სკოლის შენობის მესამე სართულზე 128 კვ.მ. ფართის მქონე დერეფნის (ქორეოგრაფიული წრეების მეცადინეობებისათვის. დრო განსაზღვრულია: კვირაში 6 დღე 1,5 საათით,) ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება შეადგენს 180 (ასოთხმოცი) ლარს, ყოველგვარი კომუნალური გადასახადების გარეშე.

აუდიტორი: თამაზ ბუკია

უძრავი ქონების ექსპერტ შემფასებელი: დავით რობაქიძე

ქ.თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ.№1,ბინა 82 Tbilisi, Gldani, Vekua str.N:1, office 82 t.bukia1960@gmail.com

(+995) 577 54 17 58, (+995) 591 95 24 24